საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა «14» 02 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 136/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 22 იანვრის N 21235,19071,19072,19073 განცხადებით შპს „აეას" (მის: მეუნარგიას ქ.71, ბინა 23, თბილისი, საქართველო) წარმომადგენელმა თამილა გორნაკაშვილმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „Art Craft" (რეგ. N 19073) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „Art Craft" (რეგ. N 19073) საქართველოში რეგისტრირებულია 03.02.2009 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 03.02.2019 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 21-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „Art Craft" (რეგ. N 19073) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში (მოთხოვნის რეგისტრაციის N 161, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 14.02.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „აეას" წარმომადგენელს თამილა გორნაკაშვილს (მის: ქ. თბილისი, ქინძმარაულის შესახვ., კორპ. 4, ბ. N46).

საქართველოს ფინანსთა სწორია
14 02 2013 წ.